საქართველოს პროკურატურის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი
Humanrights@pog.gov.ge

2024 წელი

საქართველოს პროკურატურის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე
2024 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის ანგარიშს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის" შესრულების თაობაზე.

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, შშმ პირთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვას.

2024 წელს, საქართველოს პროკურატურამ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა უფლებების დაცვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მოამზადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დამტკიცდა საქართელოს გენერალური პროკურორის ბრძანებით.[1]

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგის შედეგები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის

[1] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpbtYxG2.pdf

მონიტორინგის საბჭოსა და შშმ თემის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოთქმული რელევანტური შენიშვნები და მოსაზრებები.

სამოქმედო გეგმის ძირითად მიზნებს შშმ პირთა, მათ შორის შშმ არასრულწლოვანთა და ქალთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაზრდა, შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისგან და დისკრიმინიციისგან დაცვა, ასევე შშმ პირთა, მათ შორის, ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის აღსრულებას მონიტორინგი გაუწია საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა.

დეპარტამენტი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ანგარიშგებას ახდენს საქართველოს გენერალური პროკურორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილის სახით.

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმა შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ, 2024 წელი		
მიზანი 1.	შშმ პირთა, მათ შორის შშმ არასრულწლოვანთა და შშმ ქალთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაზრდა.	
ამოცანა 1.1.	შშმ პირების უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში.	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2023) საქართველოს პროკურატურაში შშმ დაზარალებულისა და შშმ არასრულწლოვანი ბრალდებულის/ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სისხლის სამართლის საქმეების 56%-ში, გამოყენებულია სახელმძღვანელო მითითებები „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ და „არასრულწლოვან შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“.	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2024)** შშმ დაზარალებულისა და შშმ არასრულწლოვანი ბრალდებულის/ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სისხლის სამართლის საქმეებში, პროკურორების და გამომძიებლების მხრიდან სახელმძღვანელო მითითებების გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია 5%-ით.
	2023 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით ისარგებლა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე 33-მა შშმ პირმა, მათ შორის 28 შშმ ქალმა. კოორდინატორის სამსახურით მოსარგებლე პირებიდან 24 დაზარალებულია და 9 მოწმე, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით გაზრდილია 10%-ით. ასევე, 2023 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის სერვისით	სისხლის სამართლის საქმეებში შშმ მსხვერპლთა, მათ შორის შშმ ქალების არანაკლებ 50%-მა ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით.

<table>
<tr><td></td><td>მოსარგებლე დაზარალებულად ცნობილ შშმ პირთა მაჩვენებელი საერთო რაოდენობის 21.6 %-ს შეადგენს.</td><td colspan="3"></td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2024 წელს, შშმ მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა 66%-ში, პროკურორების და გამომძიებლების მიერ გამოყენებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.

2024 წელს, სისხლის სამართლის საქმეებში შშმ მსხვერპლთა, მათ შორის შშმ ქალების, 53%-მა ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით. 2024 წელს, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ 81 სისხლის სამართლის საქმეში, მხარდაჭერა მიიღო 93 შშმ პირმა. ამათგან, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 76 დაზარალებულს, მათ შორის 43 ქალსა და 33 კაცს.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="4">„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგის ანგარიში გამოცემულია.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
</table>

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში სწავლობდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს და მონიტორინგს უწევდა პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას. მონიტორინგის საფუძველზე, შემუშავდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი. შესწავლილია შშმ დაზარალებულთა მონაწილეობით არსებული 95 სისხლის სამართლის საქმე და გაანალიზებულია საპროცესო დოკუმენტები. მონიტორინგის ასპექტები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: შშმ დაზარალებულის შეზღუდვისა და სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და გათვალისწინება; პროცედურული მისადაგების პრინციპის დაცვა; შშმ პირის მიმართ ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. გაანალიზდა ოჯახური დანაშაული, შშმ პირთა მიმართ ჩადენილი სხვადასხვა ტიპის ძალადობის შემთხვევები, გაუფრთხილებლობით ჩადენილი და ეკონომიკური დანაშაულები, დაზარალებულთა და ბრალდებულთა ტერიტორიული განფენილობა, სქესი, ასაკი, სოციალური კავშირი, შესაძლებლობის შეზღუდვის სახეები, შეუწყნარებლობის მოტივი და სხვ. მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა 2024 წლის 9 თვის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე ასახავს საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმებს შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[2]
აქტივობა 1.1.2.	„შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი.

[2] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php9oWZU9.pdf https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpnpX5Px.pdf

<table>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
„შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგის ანგარიში გამოცემულია.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td></td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td></td><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა არასრულწლოვან შშმ დაზარალებულთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ამოწმებდა პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას. მონიტორინგის საფუძველზე შემუშავდა ანალიზი. შესწავლილია არასრულწლოვან შშმ დაზარალებულთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული 15 სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც იდენტიფიცირდა 14 შშმ არასრულწლოვანი დაზარალებული და 1 შშმ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. გაანალიზდა საპროცესო დოკუმენტები; შშმ არასრულწლოვანთა შეზღუდვის სახე და მათი სპეციალური საჭიროებები, შემოწმდა პროცედურული მისადაგების დაცვის სტანდარტი, შშმ არასრულწლოვანთა მიმართ და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი რეაგირება. გაანალიზდა ოჯახური და სქესობრივი დანაშაული, ასევე სხვა კატეგორიის დანაშაულები. გარდა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემებისა, ანალიზი მოიცავს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებსა და გამოწვევებს და საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმებს შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი რეაგირების, პროცედურული მისადაგებისა და შშმ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">დაცვის საკითხებზე. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[3]</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.3.</td><td colspan="4">შშმ პირების, მათ შორის შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სავალდებულო ჩართულობის შემოღებით, შშმ პირთა რე-ტრავმატიზაციის პრევენციის ხელშეწყობა.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
შშმ პირების რე-ტრავმატიზაციის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით განსაზღვრულია შშმ პირების, მათ შორის შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის ვალდებულება.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2024 წლის 16 სექტემბრიდან, შშმ პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვის, მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის გამარტივების, დაცვისა და დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ემოციური მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები სავალდებულო წესით ერთვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მსხვერპლის სისხლის სამართლის საქმეში.</td></tr>
</table>

[3] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php94NhRy.pdf https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phplacUlC.pdf

<table>
<tr><td>**აქტივობა 1.1.4**</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის კონცეფციის შექმნა.</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**
საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის კონცეფცია შექმნილია.</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო**</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:** დონორი ორგანიზაცია</td></tr>
<tr><td>**შესრულების პროგრესი**</td><td colspan="4">**ვერ შესრულდა**</td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2024 წელს, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის კონცეფციის შექმნის მიზნით, პროკურატურა საჭიროებდა საერთაშორისო ორგანიზაციების დონორულ და ექსპერტულ დახმარებას. აღნიშნულის მისაღწევად, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუმცა დონორული მხარდაჭერის უზრუნველყოფა 2024 წელს ვერ განხორციელდა.</td></tr>
<tr><td>**ამოცანა 1.2.**</td><td colspan="4">**შშმ პირების უფლებებზე, მათ შორის შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება**</td></tr>
<tr><td></td><td>**ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2023)**

საქართველოს პროკურატურაში, შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის თემაზე, შშმ</td><td colspan="3">**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2024)**

შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ</td></tr>
</table>

	ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების თემაზე 2023 წელს, საერთო ჯამში ჩატარებული 23 ტრენინგის შედეგად, გადამზადებულია 439 თანამშრომელი, რაც საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა 55%-ია 2023 წლის მონაცემებით.	თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 10%-ით.
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს პროკურატურაში შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება გრძელდება. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. 2024 წელს, შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა გაზრდილია 22%-ით, ხოლო გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია 21%-ით.	
აქტივობა 1.2.1.	შშმ პირების, მათ შორის, შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებსა და მათთან კომუნიკაციის თემაზე, პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის/მენეჯერებისთვის/მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის 2 ტრენინგის ჩატარება.	

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შშმ პირების, მათ შორის, შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებსა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებულია 2 ტრენინგი, სულ მცირე 30 თანამშრომლის მონაწილეობით.	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება: დონორი ორგანიზაცია			
შესრულების	**შესრულდა**			

<table>
<tr><td>**პროგრესი**</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2024 წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე, მათ შორის შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე და მათთან კომუნიკაციის თემაზე, პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით, 3 სასწავლო აქტივობა განხორციელდა. შედეგად, გადამზადდა 42 თანამშრომელი, მათ შორის, 32 პროკურორი, პროკურატურის 4 გამომძიებელი და 6 მენეჯერი. პროკურატურის წარმომადგენლები გაეცნენ საერთაშორისო კანონმდებლობას და პრაქტიკას, არსებულ ინსტრუმენტებსა და მიმართულებებს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლების რეალიზების მიმართულებით. სწავლების ფარგლებში, მიმოიხილეს სტერეოტიპები, წინასწარი განწყობები, სტიგმები და ბარიერები, რომლებსაც ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალები მართლმსაჯულების პროცესში აწყდებიან. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია მართლმსაჯულებაზე წვდომის დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრისა და უწყებების პასუხისმგებლობის შესახებ. მონაწილეებმა პროცედურული მისადაგებისთვის საჭირო პრაქტიკული ასპექტებიც განიხილეს.</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 1.2.2.**</td><td colspan="4">სპეციალიზებული პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით, შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა და გოგონათა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემაზე 2 ტრენინგის ჩატარება.</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**
სპეციალიზებული პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით, შშმ პირთა საკითხებზე, მათ შორის, შშმ ქალთა და გოგონათა მიმართ და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საკითხებზე ჩატარებულია 2 ტრენინგი, სულ მცირე 30 სპეციალიზებული პროკურორის/ პროკურატურის გამომძიებლის მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:** დონორი ორგანიზაცია</td></tr>
</table>

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2024 წელს, სპეციალიზებული პროკურორებისთვის, შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა და გოგონათა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემაზე 3 სასწავლო აქტივობა განხორციელდა. შედეგად, გადამზადდა 40 სპეციალიზებული თანამშრომელი, მათ შორის 30 პროკურორი, პროკურატურის 4 გამომძიებელი და 6 მენეჯერი. სასწავლო აქტივობებს შორის, მნიშვნელოვანი იყო ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის სასწავლო კურსი „სიძულვილის ენა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული“, რომელმაც შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საკითხები, საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული მახასიათებლები და რეაგირების მექანიზმებიც მოიცვა.			
აქტივობა 1.2.3.	საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გასავლელად შერჩეული კანდიდატების გადამზადების მიზნით, პროკურატურის სტაჟიორთა მოსამზადებელი სასწავლო კურსის ფარგლებში, შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა და გოგონათა მიმართ და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ასევე მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე 2 ტრენინგის ჩატარება.			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გასავლელად შერჩეული კანდიდატების გადამზადების მიზნით, პროკურატურის სტაჟიორთა მოსამზადებელ სასწავლო კურსის ფარგლებში შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა მიმართ და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ასევე მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე, ჩატარებულია 2 ტრენინგი და გადამზადებულია 50 კანდიდატი.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2024 წელს, საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გასასვლელად შერჩეული კანდიდატების გადამზადების მიზნით, პროკურატურის სტაჟიორთა მოსამზადებელი 2 თვიანი ინტენსიური სასწავლო კურსი განხორციელდა. სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანის უფლებათა დაცვის მოდულს და შშმ პირთა, მათ შორის ქალთა და გოგონათა, ასევე შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებს დაეთმო. შედეგად, ორი ჯგუფის ფარგლებში, პროკურატურის 50 სტაჟიორი გადამზადდა.	
მიზანი 2.	**შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისაგან და დისკრიმინაციისაგან დაცვა და შშმ პირთა მიმართ, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება.**	
ამოცანა 2.1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა.**	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2023) შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 96 პირის მიმართ; დაზარალებულად ცნობილია 111 შშმ პირი; დაზარალებულად ცნობილია 65 შშმ ქალი.	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2024):** შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი რეაგირების მაჩვენებელი გაზრდილია; შშმ პირთა დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მაჩვენებელი გაზრდილია; შშმ ქალთა დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მაჩვენებელი გაზრდილია.

<table>
<tr><td>**შესრულების პროგრესი**</td><td colspan="4">**შესრულდა**</td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2024 წელს, შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების პროცესში, პროკურორმა შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო 150 პირის მიმართ. ამათგან, შშმ პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე ბრალდება წარედგინა 145 პირს, 2 პირი განრიდდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ხოლო 3 პირის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ; დაზარალებულად ცნობილია 143 შშმ პირი, მათ შორის, 65 შშმ ქალი.</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 2.1.1.**</td><td colspan="4">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td>**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო**</td></tr>
<tr><td rowspan="2">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, სასამართლო პრაქტიკა გაანალიზებულია.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:**</td></tr>
<tr><td>**შესრულების პროგრესი**</td><td colspan="4">**შესრულდა**</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას და აღნიშნული მიზნით, შშმ პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ანალიზს. შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიზნით, დეპარტამენტში შესწავლილია სასამართლოს განაჩენები და გამოვლენილია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ტენდენციები და გამოწვევები.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.2.</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ამსახველი დოკუმენტი შემუშავებულია.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში, შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა ტენდენციებს, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებს.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>აქტივობა 2.1.3.</td><td colspan="4">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სამუშაო შეხვედრის ჩატარება საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით.</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="2">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო</td></tr>
<tr><td>შესრულების პროგრესი</td><td colspan="4">შესრულდა</td></tr>
<tr><td>ინფორმაცია შესრულების შესახებ</td><td colspan="4">2024 წლის 26-28 ივნისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გაიმართა პროკურორებისა და მოსამართლეების სამუშაო შეხვედრა, რომელსაც გამომძიებლები და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განიხილეს შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ტენდენციები და გამოწვევები, ასევე საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის,</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">იმსჯელეს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების პროცესში დანერგილ მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.4.</td><td colspan="4">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სამუშაო შეხვედრის ჩატარება საქართველოს პროკურატურის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით.</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="2">შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა საქართველოს პროკურატურის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">პარტნიორი უწყება: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.</td></tr>
</table>

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2024 წლის 28 ნოემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით, ჩატარდა მულტიუწყებრივი სამუშაო შეხვედრა გენერალური პროკურატურის, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირების, პროკურორების, სოციალური მუშაკებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, მიმოიხილეს შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა პრაქტიკული საკითხები, უწყებების წარმომადგენელთა სამართალწარმოების პროცესში ჩართულობის ასპექტები და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებები.	
ამოცანა 2.2.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, შშმ თემთან, შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება**	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2023)	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2024)**
	საქართველოს პროკურატურა მესამე წელია აქტიურად თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან. თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით,	საქართველოს პროკურატურის თანამშრომლობა შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან გაგრძელდება, ჩატარდება სამუშაო შეხვედრა.

	შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოსთან 2023 წელს პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა.	
	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე, საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების მიზნით, 2023 წელს პროაქტიულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე განთავსდება ინფორმაცია შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.
	მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურატურის 22 ადმინისტრაციული შენობა. სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის მისაწვდომია პროკურატურის 14 ადმინისტრაციული შენობა.	საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა შშმ პირთათვის გაუმჯობესებულია, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები.
შესრულების პროგრესი	**მეტწილად შესრულდა**	
ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს პროკურატურა მეოთხე წელია აქტიურად თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან.	

<table>
<tr><td></td><td colspan="4">თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოსთან, 2024 წელს, პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე, საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების მიზნით, ,,ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბის „შშმ პირთა უფლებების დაცვის“ ქვე-ტაბში, 2024 წელს განთავსდა ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.[4] ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

2024 წლის მდგომარეობით, მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურატურის 23 ადმინისტრაციული შენობა. სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის მისაწვდომია პროკურატურის 15 ადმინისტრაციული შენობა.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.1.</td><td colspan="4">სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, სამუშაო შეხვედრის ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან.</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლების მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: სახალხო დამცველის აპარატი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო ორგანიზაციები</td></tr>
</table>

[4] https://pog.gov.ge/Protecting-the-rights-of-disabled-people?lng=geo https://pog.gov.ge/Protecting-the-rights-of-disabled-people?lng=eng

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, 2024 წლის 18 ნოემბერს, საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული გამოწვევები და შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგები. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.			
აქტივობა 2.2.2.	შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება საზოგადოების წარმომადგენლებთან			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო:**		
	ჩატარებულია სულ მცირე სამი საინფორმაციო შეხვედრა შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება: შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები (DPOs)			
შესრულების	**შესრულდა**			

<table>
<tr><td>**პროგრესი**</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2024 წელს, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე, საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათ შორის შშმ ქალებთან და შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 4 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს რუსთავში, თელავში, გორსა და თბილისში. პროკურორებმა შეხვედრებზე იმსჯელეს შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე, საჭიროებებსა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის საკითხებზე, ამ მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე და არსებულ გამოწვევებზე. ასევე, განიხილეს შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგები. მონაწილეებმა წარადგინეს საკუთარი მოსაზრებები.</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 2.2.3.**</td><td colspan="4">შშმ პირების მიმართ ან/და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ, ასევე შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის პროკურატურის ვებ-გვერდზე / სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნება.</td></tr>
<tr><td></td><td>**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო:**</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="2">შშმ პირების მიმართ ან/და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ, ასევე შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია პროკურატურის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნებულია.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td></td><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:**</td></tr>
</table>

შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების შესახებ	2024 წელს, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა პრეს-რელიზები შშმ პირთა წინააღმდეგ და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოში საქმის განხილვის შედეგების თაობაზე. ასევე, შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და საზოგადოების ინფორმირება საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტია.			
აქტივობა 2.2.4.	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდის ადაპტირება შშმ პირებისთვის.			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
შესრულების პროგრესი	**ნაწილობრივ შესრულდა**			
ინფორმაცია შესრულების	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი შშმ პირთათვის ადაპტირებულია ნაწილობრივ. შშმ პირების ვებ მისაწვდომობის სტანდარტის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს პროკურატურა განაგრძობს ძალისხმევას შშმ პირთათვის პროკურატურის ვებ-გვერდის ადაპტირების მიმართულებით.			

<table>
<tr><td>**შესახებ**</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>**აქტივობა 2.2.5.**</td><td colspan="4">საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაუმჯობესება შშმ პირთათვის; აღნიშნულ პროცესში როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td>**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო**</td></tr>
<tr><td rowspan="2">საქართველოს გენერალური პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ბოლნისის რაიონული პროკურატურების ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემო შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით მოწყობილია, გაუმჯობესებულია; აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:**</td></tr>
<tr><td>**შესრულების პროგრესი**</td><td colspan="4">**შესრულდა**</td></tr>
<tr><td>**ინფორმაცია შესრულების შესახებ**</td><td colspan="4">2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ბოლნისის რაიონული პროკურატურების ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემო შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით გაუმჯობესდა, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები, კერძოდ:
✓ საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში ლიფტები მოეწყო სენსორული და ხმოვანი შეტყობინებით;</td></tr>
</table>

	✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობა ადაპტირდა შშმ პირთა საჭიროების გათვალისწინებით. ✓ ბოლნისის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში შშმ პირთა საჭიროების გათვალისწინებით მოეწყო 3 პანდუსი, სენსორული შეტყობინებები და ტაქტილური ბილიკები.			
აქტივობა 2.2.6.	სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის (წლიური) მომზადება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებისთვის გაზიარება, ასევე საჯაროდ განთავსება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**		
	სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში (წლიური) მომზადებულია და გაზიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებისთვის, ასევე საჯაროდ განთავსებულია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
	პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის აპარტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო ორგანიზაციები (DPOs).			
შესრულების პროგრესი	**შესრულდა**			

ინფორმაცია შესრულების შესახებ	საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის აღსრულებას მონიტორინგი გაუწია საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა. დეპარტამენტი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ანგარიშგებას ახდენს საქართველოს გენერალური პროკურორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ანგარიში მომზადებულია და გაზიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებისთვის, ასევე საჯაროდ განთავსებულია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[5] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილის სახით.

[5] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpyf01Jg.pdf